

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში N2-  
ანგარიში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატებები:**

1. შეიცვალოს მე-14 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
  14. **კლიენტის** მიერ **ანგარიშის** დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში:
    - 14.1. თუ დახურვის მომენტისთვის **ანგარიშზე** განთავსებულია თანხა, **კლიენტი** ვალდებულია **ანგარიშის** დახურვამდე გაიტანოს აღნიშნული თანხა ან/და გადარიცხოს ის სხვა **ანგარიშზე** ან **მესამე პირის** საბანკო ანგარიშზე.
    - 14.2. **ბანკი** უფლებამოსილია არ დახუროს **ანგარიში**:
      - 14.2.1. წინამდებარე **დანართის 12 და 13 პუნქტებით** დადგენილ შემთხვევებში;
      - 14.2.2. **ანგარიში** წარმოადგენს აქტიურ **საბანკო პროდუქტთან/მომსახურებასთან** დაკავშირებულ **ანგარიშს** ან/და **ანგარიშზე** არსებული თანხა დაგირავებულია **საბანკო პროდუქტიდან/მომსახურებიდან** გამომდინარე ვალდებულებების უზრუნველსაყოფად;
      - 14.2.3. **ანგარიშზე** ირიცხება დადებითი ნაშთი;
      - 14.2.4. **ანგარიში** არის ბლოკირებული ან/და სხვა ნებისმიერი ფორმით შეზღუდულია სარგებლობა;
      - 14.2.5. **ანგარიშზე** ირიცხება დავალიანება.
    - 14.3. **კლიენტი** კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევისთვის, თუ **ანგარიშის** დახურვის გამო ვერ შეძლებს ისარგებლოს იმ **საბანკო პროდუქტით/მომსახურებით**, რომლის ფარგლებშიც **ანგარიში** განსაზღვრული იყო **საბანკო პროდუქტით/მომსახურებით** სარგებლობისთვის.
    - 14.4. იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** მიერ მოთხოვნილია **სტანდარტული მიმდინარე ანგარიშის** დახურვა და დასახური **ანგარიშის** ვალუტა განსხვავდება დადებითი ნაშთის გადასატანად **კლიენტის** მიერ **განაცხადში** მითითებული **ანგარიშის** ვალუტისგან, მაშინ შესაბამისი თანხა დაკონვერტირდება **ანგარიშის** დახურვისას **ბანკში** არსებული კომერციული კურსის შესაბამისად და ჩაირიცხება **განაცხადში** მითითებულ **ანგარიშზე**.”